№261 2014 წლის 31 ივლისი ქ. თბილისი

„საქართველოს მთავრობის კანცელარიაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2013 წლის 12 დეკემბრის №274 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საქართველოს მთავრობის კანცელარიაში საჯარო ინფორ-მაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2013 წლის 12 დეკემბრის №274 ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. განისაზღვროს საქართველოს მთავრობის კანცელარიაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი შემდეგი საჯარო მოსამსახურეები:

სოფიო სიჭინავა - საქართველოს მთავრობის კანცელარიის იური-დიული დეპარტამენტის უფროსი;

ლევან ერიქაშვილი - საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საქმისწარმოების სამსახურის უფროსი;

მერაბ ჯაფარიძე - საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საორგანიზაციო სამსახურის უფროსი;

ნინო მაჩაიძე - საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საკადრო საკითხთა სამსახურის უფროსი;

გიორგი ლილუაშვილი - საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის შესყიდვების სამსახურის უფროსი;

თამარ ხუციშვილი - საქართველოს მთავრობის კანცელარიის საფინანსო დეპარტამენტის მრჩეველი (I კატეგორია).“.

2. მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს გაბრიელ წულაია - საქართველოს მთავრობის კანცელარიის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ინტერნეტკომუნიკაციების სამსახურის უფროსი.“.

ირაკლი ღარიბაშვილი